24-საათიანი შარდი, გატუტიანებული, გაყინული

მრჩეველი
საბავშვო ცენტრი
ღიმბახის ჯგუფი

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენი ექიმი ხშირად ნიშნავს ლაბორატორიულ კვლევას, რომლისთვისაც საჭიროა შარდის შეგროვება 24 საათის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ შარდი სრულად შეგროვდეს 24 საათის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანია ზუსტად მიუთითოთ 24-საათიანი შარდის მოცულობა და შეგროვების პერიოდი. ამ ინფორმაციაზეა დამოკიდებული ლაბორატორიული ტესტის სიზუსტე!

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- 24-საათიანი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი
- შარდის სინჯარა მასალის ასაღებად
- ტუტე, მაგ. ნატრიუმის ბიკარბონატი
- სატრასპორტო მაცივარი
- 2 შარდის სატრანსპორტო კონტეინერი



როგორ ხდება 24-საათიანი შარდის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- სატრასპორტო მაცივარი მოათავსეთ მაცივრის საყინულეში.
- შარდის შეგროვების პერიოდში, მთელი დღის განმავლობაში უნდა დალიოთ დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრი სითხე.
- შარდის შეგროვებამდე ორი დღით ადრე და შეგროვების პერიოდში არ მიიღოთ შემდეგი საკვები პროდუქტები: ციტრუსები, ბადრიჯანი, ავოკადო, ნესვი, ქლიავი, თხილი და ბანანი. ასევე უნდა მოერიდოთ ყავას, შავ ჩაის, ალკოჰოლსა და ნიკოტინს.
- თქვენს მკურნალ ექიმთან შეათანხმეთ, რომელი მედიკამენტების მიღებაა ნებადართული შეგროვების დაწყებამდე და შეგროვების პერიოდში.

როგორ აგროვებთ შარდს:

- შარდი გროვდება 24 საათის განმავლობაში, მაგალითად:
  - → პირველ დღეს = დაწყება, 8:00
  - → მეორე დღეს = დასრულება, 8:00
- შარდი შეაგროვეთ სუფთა ჭურჭელში (რეკომენდებულია სპეციალური კონტეინერი, სინათლისგან დაცული, შარდის მოცულობის შესაფასებელი დანაყოფებით);
- შეგროვების პერიოდი იწყება დილით, გაღვიძების შემდეგ. შარდის ბუშტი ბოლომდე დაცალეთ (ტუალეტში). ეს შარდი არ გროვდება, მაგრამ ჩაინიშნეთ დრო (მაგ: 8:00); შეგროვების პერიოდის ათვლა აქედან იწყება;
- შარდის გასატუტიანებლად ჩვენ ვიყენებთ ნატრიუმის ბიკარბონატს (NAHCO3);
- 24-საათიანი შარდის კონტეინერში მოათავსეთ 5-10 გრ. ნატრიუმის ბიკარბონატი, შემდეგ დაიწყეთ შარდის შეგროვება.
- შარდის ყველა ულუფა შეაგროვეთ 24-საათიანი შარდის კონტეინერში, მეორე დღის დილის შარდის ჩათვლით. შეგროვების პერიოდი ამით მთავრდება. ამიტომ, გთხოვთ, მოინიშნოთ ეს დროც (მაგ: 8:00);
- შეგროვების პროცესში შარდი შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2-8°C).

რა ხდება შეგროვების შემდეგ:

1. შარდის მოცულობის შეფასება

შარდის შესაგროვებელ კონტეინერს აქვს შკალა, რომელზეც შეგიძლიათ შარდის მოცულობის წაკითხვა. **გთხოვთ, ჩაინიშნეთ 24-საათიანი შარდის მოცულობა, სიზუსტე მნიშვნელოვანია!**

2. შეგროვებული შარდი გადაურიეთ

შარდის შესაგროვებელი კონტეინერი ნაზად, მაგრამ გულდასმით გადაურიეთ. თუ ერთზე მეტი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი გამოიყენეთ, მაშინ, ჯერ ყველა კონტეინერის შიგთავსი ერთ დიდ, სუფთა ჭურჭელში გააერთიანეთ და შემდეგ გადაურიეთ.

3. სინჯის აღება



შეგროვებული შარდი ამოიღეთ სპეციალური სინჯარით (მაგ: შარდის მონოვეტი, 10 მლ). შარდის სინჯარას მოხსენით თავსახური და მიამაგრეთ „წვერი“. შარდის სინჯარა წვერით ჩაყავით შარდის შესაგროვებელ კონტეინერში და შარდით ბოლომდე შეავსეთ 2 შარდის სატრანსპორტო კონტეინერი. კონტეინერებს მჭიდროდ დაახურეთ თავსახური.

4. სინჯის იდენტიფიკაცია

კონტეინერებს დააწერეთ პაციენტის სახელი, გვარი და შეინახეთ მაცივრის საყინულეში. ლაბორატორიაში ტრანსპორტირებისათვის, მოათავსეთ 2 გაყინული კონტეინერი წინასწარ გაყინულ სატრანსპორტო მაცივარში.

გასათვალისწინებელია:

- ყველა შარდი უნდა შეგროვდეს გამონაკლისის გარეშე - თუნდაც ნაწლავთა მოქმედების დროს.
- შარდის შესაგროვებელი კონტეინერი შეინახეთ შეძლებისდაგვარად გრილ ადგილას, თუ შესაძლებელია.
- თუ შარდის რომელიმე ულუფა გამოტოვებულია შეგროვების პერიოდში, შეგროვება ხელახლა უნდა დაიწყოთ სხვა დროს.